

**სააგენტოს 2014-2015 წლისათვის დასახული
სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების
შესასრულებლად განხორციელებული ღონისძიებები
2014 წლის I კვარტალის მდგომარეობით**


**სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი
დაგეგმვის და კონტროლის სამსახური
თბილისი**

სარჩევი

სააგენტოს მისია, მიზნები და ამოცანები

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო 2014-2015 წლების სტრატეგიის მიხედვით მოწოდებულია გარდაქმნას სახელმწიფო ქონება ეკონომიკურ ფასეულობებად - უზრუნველყოს მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურება, ხელი შეუწყოს ქვეყანაში კარგი მმართველობისა და თავისუფალი ბიზნეს-გარემოს განვითარებას და დაიცვას სახელმწიფოსა და მესაკუთრის კანონიერი ინტერესები.

სააგენტოს მისიის განსახორციელებლად დაისახა 5 სტარეგიული მიზანი და თვითოეული მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანები.



მიზნების და ამოცანების შესასრულებლად თვითოეული დეპარტამენტისთვის გამოიკვეთა კონკრეტული ქმედებების განსაღვრულ ვადაში განხორციელების საჭიროება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა დაეხმარება სტრუქტურულ ერთეულებს დასახული მიზნებისა და ამოცანების ეფექტურ განხორციელებაში.

მიზანი: სერვისულ ორგანიზაციად ტრანსფორმაცია

სერვისულ ორგანიზაციად ტრანსფორმაცია სააგენტოს ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს. მიზნის მისაღწევად დასახულია სამი ამოცანა: ხელმისაწვდომი, სწრაფი და ეფექტური მომსახურების განწევა; ერთიანი სტანდარტისა და მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა ქვეყნის მასშტაბით; ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის უზრუნველყოფა.

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა

სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ საკონსულტაციო კომპანიის „სინერჯი ჯგუფის“ დახმარებით შეიმუშავა ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც სააგენტოს წინაშე მდგარ მთავარ გამონწვევებს პასუხობს. ახალ სტრუქტურაში მთავარი აქცენტები სახელმწიფო ქონების პროაქტიულ გაყიდვებსა და მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის გაზრდაზე გაკეთდა.

ახალი სტრუქტურა ვერტიკალურიდან ჰორიზონტალური მართვის მოდელზე გადასვლას ითვალისწინებს და სააგენტოს დასახული მიზნების მიღწევისა და შესაძლებლობების ეფექტური რეალიზების საშუალებას მისცემს.

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა 2014 წლის 1 მარტიდან შევიდა ძალაში. ახალი სტრუქტურა დაკომპლექტდა სააგენტოს არსებული კადრებით. სტრუქტურის ძალაში შესვლისა და ფუნქციების ახალი გადანაწილების შემდეგ გაგრძელდება მუშაობა პროცედურების ოპტიმიზაციის, სტრუქტურული ერთეულებისა და კადრების გაძლიერებისათვის.

მომდევნო კვარტალში სააგენტოს ფუნქციონირების ეფექტიანობის გაზრდისათვის დაგეგმილია არსებული კადრების გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით და სააგენტოს ვაკანტური ადგილების ახალი, კვალიფიციური კადრებით შევსება.

სააგენტოს ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზება

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო USAID-ის (აშშ-ს განვითარების სააგენტო) ერთ-ერთი პროგრამის - HICD PLUS (ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პროგრამა) დახმარებით განახორციელებს პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს სააგენტოს საოპერაციო პროცედურების ოპტიმიზებას და ორგანიზაციის ეფექტიანობის გაზრდას.

სააგენტოს ახალი სტრუქტურის ძალაში შესვლისა და ფუნქციების ხელახალი გადანაწილების შემდეგ კვლავ გაგრძელდა მუშაობა პროცედურების ოპტიმიზაციის, სტრუქტურული ერთეულებისა და კადრების გაძლიერებისათვის. ორგანიზაციის ეფექტიანობის

გაზრდის მიზნით დადგა გარკვეული ბიზნეს პროცესების ცვლილების საჭიროება, რაც მოიცავს პროცედურების განახლებისა და ახალი ინსტრუქციების შედგენის პროცესებს.

აღნიშნული ღონისძიებების გასატარებლად **HICD PLUS-ის** მიერ თებერვალში გამოცხადებული ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ადგილობრივი საკონსულტაციო კომპანია „**PMCG**“, რომელიც უშუალოდ განახორციელებს პროექტს. პროგრამის ხანგრძლივობა 5 თვეს/20 კვირას შეადგენს. აღნიშნული პროექტის განხორციელება დაიწყება II კვარტალში.

პროგრამის ფარგლებში PMCG იღებს ვალდებულებას:

- განავითაროს/გააუმჯობესოს სააგენტოს ბიზნეს პროცესები, რომლებიც საჭიროებენ ოპტიმიზაციას;
- შეიმუშავოს დეტალური აღწერილობები/ინსტრუქციები ყველა ბიზნეს პროცესისათვის;
- ჩამოაყალიბოს სამუშაო აღწერილობები;
- გაუმჯობესოს შიდა კომუნიკაცია და ცოდნის გაზიარების პროცესი;
- დახმარება გაუწიოს სააგენტოს მომხმარებლებთან ურთიერთობების გაუმჯობესებაში;
- განავითაროს საქმიანობის შეფასების ინდიკატორები საქმიანობის მონიტორინგის უზრუნველსაყოფად;
- ჩაატაროს ტრენინგები სააგენტოს ხელმძღვანელობისთვის ცვლილებების მენეჯმენტის კუთხით;
- განსაზღვროს სააგენტოს საკადრო სტრატეგია.

მომდევნი საანგარიშო პერიოდში მოხდება სააგენტოს ბიზნესპროცესების დიდი ნაწილის აღწერა, შეიქმნება სამუშაო აღწერილობები, გამოიკვეთება მანკიერი პრაქტიკა და პრობლემური საკითხები, შემუშავდება რეკომენდაციები და ინსტრუქციები.

მოქალაქეთა და დაინტერესებულ პირთა მომსახურება

საინფორმაციო და დისტანციური მომსახურების სამსახური

საინფორმაციო და დისტანციური მომსახურების სამსახური წარმოადგენს სააგენტოს შემადგენლობაში შემავალ დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს რომელიც პირდაპირ დაქვემდებარებაშია სააგენტოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან.

საინფორმაციო ცენტრის ფუნქციონირებს კვირის სამუშაო დღეებში ორშაბათიდან პარასკევს ჩათვლით დილის 09:00სთ დან 19:00სთ მდე ოპერატორების მორიგეობის გრაფიკით (09:00 -18:00 და 10:00 - 19:00) აღსანიშნავია რომ საინფორმაციო და დისტანციური მომსახურების სამსახური ფუნქციონირებდა დღის განმავლობაში 9 საათიანი გრაფიკით კერძოდ 10:00-დან 19:00-მდე. მომხმარებლის მოთხოვნის კვლევიდან გამომდინარე სამუშაო პერიოდი გაიზარდა 1 საათით და ამ დროისათვის შეადგენს 10 სამუშაო საათს.

შესვენებისათვის თვითოეული თანამშრომლისთვის განკუთვნილია 1 საათი რომლის გამოყენებაც ხდება მცოცავი გრაფიკით.

საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო დისტანციური სამსახურის ოპერატორები მოემსახურენ 3113 მომხმარებელს, (დღეში საშუალოდ 60-65 ბარი)


მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, პერიოდულად, შემთხვევითი შერჩევითობის პრინციპით ხორციელდება ქოლცენტრის ოპერატორების მიერ განხორციელებული საუბრების ამიღება/მოსმენა, რის საფუძველზეც ოპერატორებს მიეცათ რეკომენდაციები.

სამსახურში შემოსული ზარების ანალიზის საფუძველზე გარკვეულ საკითხებზე მომზადდა **შაბლონური პასუხები**, რაც საშუალებას აძლევს ოპერატორს მაქსიმალურად სწრაფად გაუწიოს მომხმარებელს კვალიფიციური კონსულტაცია და გამორიცხოს ორმაგი სტანდარტის დაშვების შესაძლებლობა კონსულტაციისას. ოპერატორებს მიეწოდათ პარტნიორი სახელმწიფო უწყებების და სამსახურების ცხელი ხაზის ნომრები და სააგენტოს თანამშრომელთა საკონტაქტო ინფორმაცია.

საინფორმაციო დისტანციური მომსახურების სამსახურის ოპერატორების მიერ ასევე ხდება **უკუკავშირის განხორციელება** მომხმარებელთან, რაც დადებითად აისახება სააგენტოს იმიჯზე.


საანგარიშო პერიოდში გატარებული ღონისძიებების შედეგად სამუშაო საათებში შემოსული **ზარების რაოდენობამ მოიმატა**, შემცირდა არამიზნობრივი ზარები და უკმაყოფილი მომხმარებლის რაოდენობა. საათობრივი ანგარიშის კვლევამ აჩვენა, რომ შემოსული **ზარების რაოდენობა თანაბრად გადანაწილდა** სამუშაო დღის განმავლობაში, რაც ნათლად ჩანს საინფორმაციო დისტანციური მომსახურების საათობრივი სტატისტიკის გრაფიკულ გამოსახულებაზე.

საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო დისტანციური მომსახურების ცენტრის საათობრივი სტატისტიკა თვეების მიხედვით






თებერვალი



- 10.00-11.00
- 11.00-12.00
- 12.00-13.00
- 13.00-14.00
- 14.00-15.00
- 15.00-16.00
- 16.00-17.00
- 17.00-18.00
- 18.00-19.00


მარტი



- 10.00-11.00
- 11.00-12.00
- 12.00-13.00
- 13.00-14.00
- 14.00-15.00
- 15.00-16.00
- 16.00-17.00
- 17.00-18.00
- 18.00-19.00

საანგარიშო პერიდში საინფორმაციო და დისტანციური მომსახურების სამსახურში შემოსული ზარების ჯამური რაოდენობა თვეების მიხედვით

10.00-19.00



არსებული პრობლემები: საინფორმაციო და დისტანციური მომსახურების სამსახურში მუშაობს ორი ოპერატორი, რის გამოც ვერ ხერხდება ზარების გაურკვეველ რაოდენობაზე პასუხის გაცემა. ტექნიკური გაუმართაობის გამო არ ხდება სრულყოფილად საუბრის ჩანერა და იმ ნომრების იდენტიფიცირება, რომლებმაც ვერ მოახერხეს ოპერატორთან დაკავშირება, შესაბამისად ვერ ხერხდება ასეთ მომხმარებელთან უკუკავშირის განხორციელება. რამოდენიმე დღის განმავლობაში, ტექნიკური ხარვეზის გამო, საინფორმაციო და დისტანციური მომსახურების სამსახურში არ ფუნქციონირებდა ტელეფონები, რაც ასევე იწვევს მომხმარებლის უკმაყოფილებას. აღნიშნული საკითხი საჭიროებს სასწრაფო რეაგირებას. ოპერატორები საჭიროებენ კვალიფიციურ ტრენინგს მომსახურების სტანდარტის დაცვის მიმართულებით.

თბილისის მომსახურების ცენტრი

თბილისის მომსახურების ცენტრის იუსტიციის სახლში გადატანა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო სააგენტოსათვის მომსახურების გაუმჯობესების თვალსაზრისით, თუმცა იუსტიციის სახლში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო საანგარიშო პერიოდში თბილისის მომსახურების ცენტრი ეკონომიკის სამინისტროს შენობაში იყო განთავსებული რაც გარკვეულ პრობლემებს უქმნიდა მომხმარებელს მომსახურებისას, ვერ ხერხდებოდა მომსახურების ხარისხის სტანდარტის სრულყოფილი დაცვა, არ ფუნქციონირებდა რიგის მართვის აპარატი.

მიუხედავად აღნიშნული პრობლემებისა თბილისის მომსახურების ცენტრი საანგარიშო პერიოდში მოემსახურა 6834 მოქალაქეს. ტერიტორიულ ცენტრში კორესპონდენციის სახით შემოსულია 3454 განაცხადი, მათ შორის ქონების განკარგვის მოთხოვნით მოგვმართა 1025 მოქალაქემ.


მომსახურების ცენტრის მიერ მიღებულ მომხმარებელთა 51%-მა სააგენტოს მიმართა განცხადებით, მათ შორის სახელმწიფო ქონების განკარგვის მოთხოვნამ შეადგინა 15%. მომხმარებელთა 49%-ს გაენია კონსულტაცია.

თბილისის მომსახურების ცენტრის მიერ საანგარიშო პერიოდში განეული მომსახურების პროცენტული მაჩვენებელი

იანვარი

- მარტი
- მიღებული დაინტერესება
- სხვა განცხადება

საანგარიშო პერიოდში თბილისის მომსახურების ცენტრის მიერ მიღებული მოქალაქეების და განცხადების გრაფიკული გამოსახულება თვეების მიხედვით



2014 წლის განმავლობაში კვლავ გაგრძელდება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა როგორც თბილისში, ასევე - რეგიონებში, სადაც სააგენტო იბრუნებს იგივე მიდგომებისა და სტანდარტების დანერგვაზე და განახორციელებს შესაბამის რეფორმებსა და სამუშაოებს.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს კარგი მმართველობის ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც უმთავრესი ამოცანაა გამჭვირვალობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამისათვის საჭიროა სააგენტოს მომსახურება იყოს მაქსიმალურა ყველასათვის ხელმისაწვდომი ქვეყნის მასშტაბით.

რეგიონებში დაინტერესებული პირები სააგენტოს მიმართავენ შესაბამისი რეგიონის მომსახურების ცენტრის მეშვეობით. დღეის მდგომარეობით სააგენტოს გააჩნია მხოლოდ ექვსი მომსახურების ცენტრი საქართველოს რეგიონებში. ტერიტორიული მომსახურების ცენტრების სიმცირე, წარმოადგენს მნიშვნელოვან ბარიერს რეგიონული მოსახლეობისთვის: 6 სამხარეო ცენტრს გადანაწილებული აქვს ქვეყნის ტერიტორია, თუმცა ზოგ შემთხვევაში სამხარეო ცენტრი

იმდენად მოშორებულია ცალკეული რაიონებისგან, რომ დაინტერესებულ პირს უჭირს რეგიონულ ცენტრში მისვლა, რაც თავის მხრივ იწვევს მომხმარებელთა უკმაყოფილებას.

აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად სააგენტო დაგეგმილია თანამშრომლობა სსიპ „იუსტიციის სახლთან.“ სსიპ-ების ერთობლივი თანამშრომლობა შესაძლებლობას მისცემს დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს იუსტიციის სახლის 12 ფილიალის მეშვეობით, რეგიონული მასშტაბით, მისთვის ხელსაყრელ ადგილას შეძლოს დაინტერესების გამოხატვა, სააგენტოს საქმიანობას მიკუთვნებუ საკითხებზე განაცხადის შემოტანა და პასუხის მიღება.

მიზანი: სერვისულ ორგანიზაციად ტრანსფორმაცია

მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების ანალიზისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი პასუხისმგებელი დეპარტამენტისთვის დასახული ქმედების სტატუსი და გამოკვეთილი მიმართულებები, რომლებიც მომდევნო საანგარიშო პერიოდში საჭიროებენ გარკვეული ღონისძიებების გატარებას.

ამოცანა	აქტივობა	აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი ერთეული	სტატუსი
3.1 ხელმძღვანელში სწრაფი და ეფექტური მომსახურების განვითარება	საინფორმაციო და დისტანციური მომსახურების სამსახურის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ღონისძიებების გატარება და განვითარების სტრატეგიის შემუშავება	საინფორმაციო და დისტანციური მომსახურების სამსახური	მიმდინარე
	სააგენტოს ყველა დეპარტამენტში ყველა ბიზნესპროცესის აღწერა-ოპტიმიზაცია(საკონსულტაციო კომპანია PMCG უწევს დახმარებას)	სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	მიმდინარე
	სააგენტოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული სერვისების განსაზღვრა.	იურიდიული დეპარტამენტი	დაგეგმილი
	სერვისების დანერგვის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება-დამტკიცება	იურიდიული დეპარტამენტი	დაგეგმილი
	სააგენტოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული სერვისების შესრულების ვადების და მომსახურების ღირებულების განსაზღვრა.	სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური;	დაგეგმილი
	მომსახურების ცენტრების (თბილისი/რეგიონები) კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა მომხმარებლის ეფექტური მომსახურების მიზნით (სერვის +)	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	მიმდინარე
	მომსახურების ხარისხის მუდმივი მონიტორინგის და კონტროლის მექანიზმების შემუშავება	სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	მიმდინარე
	ქვეყნის მასშტაბით სააგენტოს სერვისების ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის გზების მოძიება (იუსტიციის სახლები, სოფლის სახლები, ცოდნის ცენტრები და სხვა)	სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	მიმდინარე
ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის და პრაქტიკაში არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით მომსახურების რეგიონულ ცენტრებთან შეხვედრების ორგანიზება	სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური;	მიმდინარე	



3.2 ერთიანი სტანდარტისა და მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა ქვეყნის მასშტაბით	სააგენტოში შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესება - შეხვედრების, პრეზენტაციების და სხვა ღონისძიებების პერიოდულობის განსაზღვრა/ორგანიზება	ადამიანური რესურსები მართვის სამსახური	დაგეგმილი
	სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სტრუქტურული ერთეულებისთვის კონტროლის და ანგარიშვალდებულების მექანიზმების შემუშავება დანერგვა - ანგარიშის ფორმის შემუშავება სააგენტოს ყველა სამსახურისთვის (მათ შორის რეგიონული სამსახურებისთვის)	დაგეგმვისა და კონტროლის სამსახური	მიმდინარე
	კომიტეტის დებულების მომზადება სააგენტოს ყველა დეპარტამენტისთვის	სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური;	დაგეგმილი
3.3 ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის უზრუნველყოფა	დეპარტამენტების/სამმართველოების მიხედვით სამუშაო აღწერილობის, ფუნქციური და პასუხისმგებლობის განაწილების დოკუმენტის შექმნა	ბიზნეს პროცესების ანალიზის სამსახური	დაგეგმილი
	თანამშრომელთა შეფასების სისტემის კონცეფციის მომზადება დამტკიცება	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;	დაგეგმილი
	მოტივაციის სისტემის კონცეფციის შემუშავება	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;	დაგეგმილი
	სანქციების სისტემის შექმნა/სრულყოფა	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	დაგეგმილი
	თანამშრომელთა ტრენინგების საჭიროების განსაზღვრა (გეგმის შემუშავება)	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	მიმდინარე
	ტრენინგების უზრუნველყოფა	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;	მიმდინარე
	სააგენტოს ინტერესებისათვის საჭირო კადრების გამოზრდა - პრაქტიკისა და სტაჟრების პროცესის განვითარება/ორგანიზება	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;	მიმდინარე
	გუნდის შეკვრის ღონისძიებების გეგმის შემუშავება/ორგანიზება	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;	დაგეგმილი
თანამშრომელთა ატესტაცია	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	დაგეგმილი	



მიზანი: მართვის ეფექტური მექანიზმებისა და მონაცემთა ერთიანი სისტემის შექმნა

მართვის ეფექტური მექანიზმებისა და მონაცემთა ერთიანი სისტემის შექმნა სააგენტოს ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია. მიზნის მისაღწევად დასახულია ოთხი ამოცანა: სახელმწიფო ქონების აღრიცხვა და მონაცემთა ერთიანი სივრცის შექმნა; უძრავი ქონების ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის ფორმირება და ელექტრონულ პოტალზე განთავსება; სახელმწიფო ქონების მოვლა პატრონობის ფუნქციის სრულყოფა; პარტნიორ სახელმწიფო სტრუქტურებთან ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფა.

მონაცემთა ერთიანი სისტემის შექმნის კუთხით განხორციელებული ღონისძიებები

წლების მანძილზე სახელმწიფო ქონების გარკვეული ნაწილი იყო აღურცხავი და შესაბამისად, არ მოიპოვებოდა ზუსტი და სრული ინფორმაცია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების თაობაზე. სააგენტომ 2013 წლის გაზაფხულზე დაიწყო სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაცია თბილისში, რომლის ფარგლებშიც 2013 წელში აღწერილია 9 უბანი (ლილო, სამგორი, ფონიჭალა, ვარკეთილი, დიდგორი, თბილისის ზღვა, ლისი, ზაჰესი და დილომი) რაც მთლიანობაში 663 დაურეგისტრირებელ ობიექტს და 4 700 000 კვ.მ. მიწის ფართს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში ინვენტარიზაციის ფარგლებში აღრიცხულია 2 უბანი სოლოლაკი და ორთაჭალა, ჯამში აღმოჩენილია 112 533 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით;

დღევანდელი მდგომარეობით ინვენტარიზაციის პროექტის ფარგლებში აღმოჩენილია 4 812 533 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

საჯარო რეესტრთან მიმართებაში განხორციელებულია 511 ტრანზაქცია. მათ შორის:

- პირველადი რეგისტრაცია - 251;
- ცვლილება - 143;
- გამიჯვნა - 20;
- დამატება - 79;
- განახლება - 17.

გაფორმდა ჩუქების 2 ხელშეკრულება, რის საფუძველზეც სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირდა 4 ერთეული უძრავი ქონება;

განხორციელებულია 250 ობიექტის მოკვლევა, დასურათება ინფორმაციის მოპოვება.

მომდევნი საანგარიშო პერიოდში ინვენტარიზაციის პროცესი გაგრძელდება თბილისის მაშტაბით. დაგეგმილია სამუშაო ჯგუფების შექმნა რეგიონებში ინვენტარიზაციის პროექტის დასაწყებად და სახელმწიფო ქონების ერთიანი, შიდა სამუშაო მონაცემთა ბაზის შექმნა .

პარტნიორ სახელმწიფო სტრუქტურებთან ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფისათვის განხორციელებული ღონისძიებები

უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაუმჯობესება

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა“ და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს სააგენტოებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებას, და ინფორმაციის გაცვლის პროცესის ხელშეწყობას, რაც საბოლოოდ, დადებითად აისახება სახელმწიფო ქონებით დაინტერესებულ პირთა მომსახურებაზე.

მემორანდუმის ფარგლებში, საჯარო რეესტრის მიმართვის საფუძველზე უზრუნველყოფს მის ერთიან მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის, ასევე სხვა ნებისმიერი დოკუმენტაციის მიწოდებას სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის, ხოლო სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო თავის მხრივ უფლებამოსილია გამოიყენოს საჯარო რეესტრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია საკუთარი საქმიანობის პროცესში და ასევე მოთხოვნის შემთხვევაში, მიანოდოს საჯარო რეესტრს ინფორმაცია განსახილველი საკითხებისა და გადაწყვეტილებების თაობაზე. სააგენტოები ითანამშრომლებენ სხვადასხვა სახის უძრავ და მოძრავ ქონებაზე, ასევე არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საკუთრების უფლების წარმოშობის საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

მემორანდუმი ძალაშია 2015 წლის 10 თებერვლამდე.

სააგენტო მომავალშიც აგრძელებს სახელმწიფო უწყებებთან პარტნიორული თანამშრომლობის გაუმჯობესებას. სახელმწიფო სტრუქტურებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების და ურთიერთობის განვითარების მიზნით იგეგმება სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, გარკვეული სტანდარტების შექმნა/დანერგვა პარტნიორ სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობისას.



მიზანი: მართვის ეფექტური მექანიზმებისა და მონაცემთა ერთიანი სისტემის შექმნა

მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების ანალიზისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი პასუხისმგებელი დეპარტამენტისთვის დასახული ქმედების სტატუსი და გამოკვეთილი მიმართულებები, რომლებიც მომდევნო საანგარიშო პერიოდში საჭიროებენ გარკვეული ღონისძიებების გატარებას.

ამოცანა	აქტივობა	აქტივობის შესრულებამდე პასუხისმგებელი ერთეული	სტატუსი
1.1 სახელმწიფო ქონების აღრიცხვა და მონაცემთა ერთიანი სივრცის შექმნა	უძრავი ქონების ინვენტარიზაცია თბილისი	სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და მონიტორინგის	მიმდინარე
	რეგიონებში სამუშაო ჯგუფის შექმნა ობიექტების აღსადგენად	სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და მონიტორინგის დეპარტამენტი	დაგეგმილი
	უძრავი ქონების ინვენტარიზაცია რეგიონები	სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და მონიტორინგის დეპარტამენტი	დაგეგმილი
	საჯარო რეესტრის ჩართულობის უზრუნველყოფა რეგიონების ინვენტარიზაციის პროცესში "დამისამართების" პროექტის პარალელურად	ხელმძღვანელობა	დაგეგმილი
	დაინტერესების, შემოსული განცხადებების საფუძველზე) აღმოჩენილი ობიექტების აღრიცხვა	სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და მონიტორინგის დეპარტამენტი	მიმდინარე
1.2 უძრავი ქონების ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის ფორმირება და ელექტრონულ პორტალზე განთავსება	სახელმწიფო ქონების ერთიანი, შიდა სამუშაო მონაცემთა ბაზის შექმნა (სატესტო)	ხელმძღვანელობა	მიმდინარე
	თანამშრომლებისთვის პროგრამაში სამუშაოდ ტრენინგების ორგანიზება	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	დაგეგმილი
	შიდა სამუშაო პროგრამის განვითარება (ყველა შესაბამისი სამსახურების ჩართვა პროგრამაში)	ხელმძღვანელობა	დაგეგმილი
	სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტებში საფინანსო და სასაწყობო პროგრამის, ელექტრონული საშუალებების დანერგვა	ადმინისტრაციული დეპარტამენტი	დაგეგმილი
	სახელმწიფო ქონების ელექტრონული არქივის ფორმირება	სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტი	დაგეგმილი
1.3 სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობის ფუნქციის სრულყოფა	„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტის მომზადება -სახელმწიფო ქონების უსასყიდლო საკუთრებაში გადაცემის ფორმის რეგულაცია; არამართლზომიერი მფლობელობის პატიება; არამატერიალური, ქონებრივი სიკეთეების განკარგვის პროცედურა, კანონით ტერმინების დაზუსტება	იურიდიული დეპარტამენტი-სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური	მიმდინარე
	სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე თვითნებურად, კომერციული საქმიანობის მიზნით, დაკავებულ ობიექტებზე ქმედითი ღონისძიებების გატარება (აშნისტიის კანონის შესაბამისად) -	სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და მონიტორინგის დეპარტამენტი;	დაგეგმილი
	სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე თვითნებურად, კომერციული საქმიანობის მიზნით, დაკავებულ ობიექტების აშნისტიის კანონის შესაბამისად სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა (მიღებული შედეგი)	სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტი	დაგეგმილი
პარტნიორი სახელმწიფო უწყებებთან პრობლემების განსაზღვრა (შიდა)	საჯარო სექტორთან ურთიერთობის სამსახური	მიმდინარე	

1.4 პარტიონორ სახელმწიფო სტრუქტურებთან ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფა	სახელმწიფო სტრუქტურებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების და ურთიერთობის განვითარების მიზნით სამუშაო შეხვედრების ორგანიზება (სისტემატიურად, 2 ჯერ წელიწადში)	ხელმძღვანელობა	დაგეგმილი
	თვითმმართველობებთან სამუშაო შეხვედრების პერიოდულობის განსაზღვრა/ორგანიზება (შეხვედრების ანალიზი)	ხელმძღვანელობა	მიმდინარე
	საჯარო რეესტრთან მემორანდუმის გაფორმება ინფორმაციის ავტომატური სინქრონიზაციის უზრუნველსაყოფად	იურიდიული დეპარტამენტი;	დასრულებული

მიზანი: ქონების რაციონალური განკარგვის უზრუნველყოფა

ამოცანები: ბიზნეს გარემოს განვითარების მხარდაჭერა; პრივატიზების პროცესის სტიმულირება და გაყიდვების პროაქტიულობის გზით შემოსავლის ზრდა; სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე გონივრული განკარგვის უზრუნველყოფა

სახელმწიფო ქონების მართვა/განკარგვის მიმართულებით გატარებული ღონისძიებები

გასული კვარტლის განმავლობაში სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტში, სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების მოთხოვნით დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილ იქნა:

ა) 289 განცხადება, რომელიც შეეხება ქ. თბილისსა და აჭარის ადმინისტრაციულ საზღვრებში განთავსებული ქონების პრივატიზების საკითხს

ბ) 123 განცხადება, რომელიც შეეხება მომსახურების ცენტრების კომპეტენციას მიკუთვნებული ქონების პრივატიზების საკითხს (გარდა „ა“ პუნქტში აღნიშნული ქონებისა)

საანგარიშო პერიოდში დიდ და მცირე კომიტეტებზე განხილულ იქნა - 354 საკითხი, (დიდ კომიტეტზე განხილულია - 143 საკითხი, მცირე კომიტეტზე განხილულია - 211 საკითხი) რომელთაგან:

ა) დადებითად გადაწყდა - 262 საკითხი

ბ) უარი ეთქვა - 53 საკითხს

გ) გადაიდო - 39 საკითხი.

პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების მოთხოვნით (მათშორის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზებისა) სააგენტოში წარმოდგენილია - 62 საკითხი, რომელთაგან:

ა) დადებითად გადაწყდა - 23 საკითხი (გამოიყა მთავრობის განკარგულება)

ბ) 6 საკითხი განხილვისათვის გადაეგზავნა საქართველოს მთავრობას, დახარვეზდა და საჭიროებს დამატებით წარმოებას

გ) განხილვის პროცესშია - 33 საკითხი.

კომიტეტზე დადებითად გადაწყვეტილი საკითხებიდან ამჟამად აუქციონი გამოცხადებულია - 157 ერთეულ ქონებაზე, რომელთაგან:


ა) აუქციონი შედგა (გაიყიდა/სარგებლობის უფლებით გაიყა) - 84 ერთეული ქონება

ბ) აუქციონი ჩაიშალა - 73 ერთეულ ქონებაზე.


ამჟამად სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტში წარმოებაშია - 700 კორესპოდენცია (ძველი განცხადებებზე პრივატიზების ხარვეზებზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის შესახებ და ა.შ.) და დამატებით - 134 კორესპოდენცია, რომელიც ეხება საცხოვრებელი ფართების სოციალურად დაუცველი, არადევნილი პირებისათვის სიმბოლურ ფასად გადაცემის საკითხს, რომელიც სააგენტოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული დელეგირების ბრძანების თანახმად გადაეცემა კრედიტ სექტორთან ურთიერთობის სამსახურს.

საანგარიშო პერიოდში სააგენტოში სახელმწიფო ქონების განკარგვის მოთხოვნით შემოსულია 1817 განცხადება. ამავე პერიოდში გამოცხადებული აუქციონების რაოდენობა შეადგენს - 145. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემოსული დაინტერესებულების დაახლოებით 65-70% სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვის მოთხოვნას წარმოადგენს. აღსანიშნავია ისიც რომ | კვართლის ანგარიშის შედეგმა აჩვენა რომ სააგენტოში შემოსული დაინტერესებულების განცხადება ყოველთვის იბრდება.

შემოსული დაინტერესების განაცხადისა და სხვა სახის განაცხადის პროცენტული თანაფარდობა



შემოსული დაინტერესების განცხადებებისა და გამოცხადებული აუქციონების გრაფიკული გამოსახულება



სააგენტოში შემოსული დაინტერესებულების კვლევის შედეგად დგინდება რომ, სააგენტო ვერ უზრუნველყოფს მოთხოვნის შესაბამის რეაგირებას, რაც განპირობებულია სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის კადრების სიმცირე, საკითხები რომელთა გადაჭრაც სააგენტოს შესაძლებლობებს აღემატება (მაგ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვა რომელიც საერთო დაინტერესების დაახლოებით 70% შეადგენს) აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით სააგენტომ რამდენიმე მიმართულებით დაიწყო მუშაობა,


მათ შორის განისაზღვრა შემოსული მოთხოვნის საფუძველზე ყოველკვირეულად გამოსაცხადებელი აუქციონების მინიმუმი რაც შეადგენს 25 აუქციონს და ასევე სააგენტოს ინიციატივით კომიტეტზე (ე.წ. დიდ და მცირე კომიტეტზე) თვეში 25-35 ობიექტის ფასის განსაზღვრას და აუქციონზე გამოტანას.

საანგარიშო პერიოდში სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მიერ ინიცირებული და ყველაზე მაღალ ფასად გაყიდული ელექტრონული აუქციონის მონაცემები.

N	ქონებრივი ინფორმაცია	გაყიდვის ფასი ლარებში
1	რუსთავში ქალაქ რუსთავში 5 007 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის	42 000
2	ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩაზე მდებარე 999 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	121 000
3	ქალაქ თბილისში აეროპორტის დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 955 კვ.მ ობიექტი.	115 000
4	ქალაქ მცხეთაში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N27-ში მდებარე 662.00 და 685.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	92 000
5	ქალაქ თბილისში, ლილოს ბაზრობის მიმდებარედ არსებული 10 144.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები.	1 789 000
6	გარდაბანში, სოფელ მარტყოფში, ვაზიანში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 16 750.00 კვ.მ	195 000
7	ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩა N1-ში მდებარე 954.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	523 000
8	ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა №83 ა - ში მდებარე 3 960.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ №1, №2, №3, №5, №6 და N4 (მშენებარე) შენობა-ნაგებობაზე ჩასატარებელი სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად მისაღები მეორადი სამშენებლო მასალები	246000

პირველი კვარტლის პერიოდში სახელმწიფო ქონების განკარგვის შედეგად მიღებულმა თანხამ შეადგინა 5 189 230 ლარი, აქედან აუქციონის შედეგდ განკარგული ქონების ღირებულება წარმოადგენს 4 567 650 ლარს, პირდაპირი მიყიდვის ფორმით განკარგული ქონების ღირებულებამ შეადგინა 514 240 ლარი ხოლო იჯარის ფორმით განკარგული ქონების ღირებულებამ 107 340 ლარი.

განკარგვის შედეგად მიღებული თანხა - 5 189 230 ლარი



სახელმწიფო ინვესტორებს დაკისრებული პირგასამტეხლო აპატია

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და ინვესტორების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს ინიცირებით, „სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონში“ შესული ცვლილებებით (მუხლი 48.) სახელმწიფო ქონების შემძენ(ებ)ს და მართვის/სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებს ეპატია შესაბამისი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციის არ მიწოდებით დაკისრებულ პირგასამტეხლო 2014 წლის 1 იანვრამდე. ასევე, სახელმწიფო ქონების უზუფრუქტუარს ეპატია ხელშეკრულებით ნაკისრი, გადაცემული ქონების დაზღვევის ან/და კომუნალური გადასახადების გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობით დაკისრებული პირგასამტეხლო 2014 წლის 1 იანვრამდე.

სააგენტო კვლავაც აგრძელებს მუშაობას ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისა და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიმართულებით, რომლის ფარგლებშიც იგეგმება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტის მომზადება, რომელიც შეეხება სახელმწიფო ქონების უსასყიდლო საკუთრებაში გადაცემის ფორმის რეგულაციას; არამართლზომიერი მფლობელობის პატიებას; არამატერიალური, ქონებრივი სიკეთეების განკარგვის პროცედურის სრულყოფას.

სახელმწიფო ქონების მართვის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 1475 ქონების სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრაცია;

სახელმწიფო ქონების ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის მიზნით, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გადაეცათ 246 ერთეული ქონება;

საქართველოს მთავრობის 27.10.07წ. №233 დადგენილების შესაბამისად ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მიეცა თანხმობა 173 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციაზე;

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 106 სახელმწიფო ორგანოს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს მიეცათ თანხმობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების სარგებლობასთან დაკავშირებით;

2014 წლის პირველ კვარტალში მთავრობის განკარგულებების საფუძველზე (N278 და N29) 884 დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდა ბინებით.



საანგარიშო პერიოდის დასაწყისში სახელმწიფოს მართვაში იყო 435 საწარმო |
კვარტლის ბოლოს დარჩა 366 საწარმო

მომსახურების მხარდაჭერის დეპარტამენტის სტატისტიკა

1	თვითმმართველი ერთეულისათვის გადაცემული ქონება (უძრავი/მოძრავი)	მოძრავი-35, უძრავი-246 ძირითადი ქონების სახით 49
2	თვითმმართველი ერთეულისთვის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის რეგისტრაციაზე გაცემული თანხმობა	173
3	სახელმწიფო უწყებებზე /საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე გადაცემული ქონება (უძრავი/მოძრავი)	106
4	სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გაცემაზე სახელმწიფო უწყებებზე /საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე თანხმობა გაიცა	150
5	უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემული უძრავი ქონება	792
6	ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამონერის შესახებ სახელმწიფო უწყებებს /საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე თანხმობა გაიცა	15
7	უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გაცემული ქონება	2
8	იძულებით გადაადგილებული პირებისათვის გადაცემული უძრავი ქონება	884
9	საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების დადასტურება	86
10	სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრის/თანამესაკუთრის, მიერ თანხმობა გაიცა	25
11	გაკოტრებული საწარმოები	20
12	გაკოტრების პროცესი მყოფი საწარმოები	32
13	შერწყმული საწარმო	13
14	მართვის უფლებით გადაცემული საწარმო	1

სასამართლო დავები და პრობლემური საკითხები

სასამართლოებთან ურთიერთობის სამსახურში 2014 წლის იანვარი, თებერვალი, მარტი შემოვიდა 94 ახალი საქმე, სადაც სააგენტო წარმოადგენდა მოპასუხესა და/ან მესამე პირს. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ საქმეებზე მომზადდა და სასამართლოს გაეგზავნა წერილობითი მოსაზრებები სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე. შემოსული საქმეებიდან 53 სასამართლო საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთების გადაფარვასთან, რეგისტრაციასთან და ა.შ. დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება; ქმედების განხორციელების დავალება; განხორციელებული პრივატიზების კანონიერება და ა.შ. ხოლო 41 საქმეზე დავის საგანია ქონების უმკვიდროდ ცნობა და საცხოვრებელი სადგომით სარგებლობიდან წარმოშობილი ურთიერთობები.

სასამართლოებთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს როგორც თბილისის, ასევე საქართველოს მაშტაბით განთავსებულ სასამართლოებში გამართულ 255 სასამართლო პროცესში.

ამასთანავე, სამსახურის მიერ ინიცირებული იქნა 6 სასამართლო დავა დაკავშირებული უძრავი ქონების რეგისტრაციის კანონიერებასთან, ასევე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს თანხის დაკირებასთან.

მიწის ნაკვეთებისა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადაფარვის საკითხების გახშილველი კომისია

“მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილზე საკუთრების უფლებით მიკუთვნებული მიწის ნაკვეთის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და სხვა შენობა-ნაგებობების არასაცხოვრებელი ფართობის, სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების კუთვნილების განსაზღვრის საკითხების გახშილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” შესაბამისად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ “სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს” 201 წლის 16 ოქტომბრის №1/1-90 ბრძანებით შექმნილ კომისიამ განხილულია და გადაწყვეტილება მიღებულია 71 საკითხზე (2014 წლის იანვრიდან დღემდე).



მიზანი: ქონების რაციონალური განკარგვის უზრუნველყოფა

მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების ანალიზისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი პასუხისმგებელი დეპარტამენტისთვის დასახული ქმედების სტატუსი და გამოკვეთილი მიმართულებები, რომლებიც მომდევნო საანგარიშო პერიოდში საჭიროებენ გარკვეული ღონისძიებების გატარებას.

ამოცანა	აქტივობა	აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი ერთეული	სტატუსი
2.1 ბიზნეს-გარემოსა განვითარების მხარდაჭერა	არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით გამოსაცხადებელი აუქციონების მინიმუმის განსაზღვრა (კვირაში 25 აუქციონი)	სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტი	დასრულებული
	სააგენტოში შემოსული დაინტერესებების ანალიზი	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	მიმდინარე
	არსებული მოთხოვნების ანალიზის მეშვეობით ბიზნეს მოთხოვნის განსაზღვრა	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	დაგეგმილი
	ბიზნეს გაერთიანებებთან შეხვედრა მოთხოვნის განსაზღვრის მიზნით	სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	დაგეგმილი
	გაყიდვების სტრატეგია ბიზნეს სექტორისთვის, დამტკიცება	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;	დაგეგმილი
	გაყიდვების სტრატეგიის განხორციელება	გაყიდვების სამსახური	დაგეგმილი
2.2 პრივატიზების პროცესის სტიმულირება და პრაქტიკულობის გზით შემოსავლის მრდა	საპრივატიზებო ობიექტების განახლებული ბაზის შექმნა	სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტი	მიმდინარე
	დეპარტამენტის ინიციატივით კომიტეტზე (ე.წ. დიდ და მცირე კომიტეტზე) თვეში 25-35 ობიექტის ფასის განსაზღვრა და აუქციონზე გამოტანა	სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტი	მიმდინარე
	ელექტრონული მაღაზიის შექმნა/შპს ობიექტების საიტზე განთავსება	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	მიმდინარე
	რეგისტრირებული შეუფასებელი ობიექტების ბაზაში ასახვა	სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტი	მიმდინარე
	არსებული მოთხოვნების ანალიზის მეშვეობით მომხმარებლის მოთხოვნის განსაზღვრა	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;	მიმდინარე
	მომხმარებლისათვის გაყიდვების სტრატეგიის შემუშავება	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	მიმდინარე
	გაყიდვებზე შემოსული მოთხოვნის ვადაში დაკმაყოფილება (მიმდინარე განცხადებები)	გაყიდვების მხარდაჭერის სამსახური	მიმდინარე



	სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა, ბაზის შექმნა	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	მიმდინარე
	სამიზნე ჯგუფებისათვის დაინტერესებულების მიხედვით დაპაკეტებულ ობიექტებზე ინფორმაციის მინოდება-შეთავაზება	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	დაგეგმილი
	საპრივატიზებო ობიექტების განთავსება სხვადასხვა სახის საინფორმაციო სივრცეში	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;	მიმდინარე
2.3 სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე გონივრულ უზრუნველყოფა	სახელმწიფო ქონების პრივატიზების შედეგად შემოსული თანხის 40 მილიონამდე გაზრდა (2013-2014 წლის მანძილზე პრივატიზებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 21 000 000 ლარი) შესაბამისად კვარტალური გეგმა შეადგენს 10 000 000 ლარამდე	სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტი	მიმდინარე
	საპრივატიზებო გეგმის შემუშავება/განხორციელება რეგიონებისთვის	სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტი	დაგეგმილი
	პრივატიზების პროცესის მიმდინარეობისას საპრივატიზებო ობიექტების თვისობრივი მდგომარეობის დაცვა	სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტი	მიმდინარე

მიზანი: საწარმოთა ქმედით მმართველად ჩამოყალიბება

ამოცანები: საწარმოთა აქტივების შესწავლა/აღრიცხვა და მონაცემთა ერთიანი სისტემის შექმნა; კოორდინაციის გაუმჯობესება საწარმოებთან; კონტროლის მექანიზმების სრულყოფა; საწარმოთა ოპტიმიზაცია-მინიმიზაციის პროცესის დასრულება; სტრატეგიული მიდგომების გატარება და საწარმოთა კერძო სექტორში გადატანის ხელშეწყობა

საწარმოთა მართვის გაუმჯობესების კუთხით განხორციელებული ღონისძიებები.

საწარმოთა მართვის გაუმჯობესების კუთხით ანალიტიკური დეპარტამენტის საანგარიშო პერიოდის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ახალი ინფორმაციის შეგროვების შაბლონის აქტიური გამოყენების დაწყება და მის საფუძველზე ანყობილი ფინანსური ანალიზის მეთოდის ამოქმედება.

ინფორმაციის შეგროვების ახალი შაბლონი დაეგზავნა 84 მოქმედ კომპანიას. განისაზღვრა კომპანიების მიერ ინფორმაციის მონოდების დრო და ფორმატი.

84 კომპანიიდან ვერცერთმა ვერ შესძლო პირველადი ინფორმაციის დროულად მინოდება.

გარკვეული ინფორმაცია მიღებულ იქნა მხოლოდ 79 კომპანიიდან. მონოდებულ ინფორმაციის ხარისხი ძალზედ დაბალია, მხოლოდ 62 კომპანიამ შეძლო 2013 წლის ფინანსური შედეგების მეტ-ნაკლებად კორექტული ფორმით წარმოდგენა. კიდევ 17 კომპანიას ინფორმაცია ან არასწორად აქვს წარმოდგენილი ან საერთოდ არ წარმოდგენია.

62 კომპანიიდან მხოლოდ 40 შეძლო მოგების მიღება გასულ წელს. საერთო მოგებამ 30 979 820 ლარი შეადგინა. 18 კომპანიიას ბარალი დაუფიქსირდათ და მისმა საერთო ოდენობამ 64 995 224.48 ლარი შეადგინა. კიდევ 4 კომპანიის ფინანსური ინფორმაცია იმდენად არაკვალიფიციურია, რომ შეუძლებელია რაიმე ფინანსურ რეზულტატზე საუბარი.

საწარმოთა მართვის გაუმჯობესების კუთხით ანალიტიკური დეპარტამენტის მეორე მნიშვნელოვან ამოცანას 2014 წლის ბიზნეს გეგმების შეგროვება და განხილვა წარმოადგენდა.

მხოლოდ 46 კომპანიამ მოგვანოდა 2014 წლის ბიზნეს გეგმები. მონოდებული ბიზნეს-გეგმების უმრავლესობა არ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს და მიმდინარეობს მუშაობა კომპანიების მენეჯმენტთან ერთად მათ შესასწორებლად. დღეისათვის დამტკიცებულია მხოლოდ 4 ბიზნეს-გეგმა, ასევე დასამტკიცებლად მზადაა 12 ბიზნეს-გეგმა. კიდევ 30 ბიზნეს-გეგმა განხილვის სტადიაში იმყოფება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა იყო კომპანიების აქტივების რეალური ღირებულების დადგენა. ანალიტიკური დეპარტამენტის ინიციატივით მოხდა ბრძანების შემუშავება, რომელიც ავალდებულებს კომპანიებს მოახდინონ საკუთარი აქტივების სრული ინვენტარიზაცია და გადაფასება IFRS-ის მეთოდოლოგიით. ამ სამუშაოების ჩატარება საშუალებას მოგვცემს ზუსტად შევაფასოთ ჩვენს ხელთ არსებული აქტივები და გაადვილებს კომპანიების ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს.

ანალიზის შედეგად გამოვლენილი პრობლემები:

კომპანიების ფინანსური მენეჯმენტი ძალიან სუსტია, თითქმის ყველა კომპანიის მიერ მონოდებულ ინფორმაციაში არ ემთხვევა პირდაპირი და არაპირდაპირი ფულის მოძრაობის უწყისები. აქედან გამომდინარე აუცილებლად მიგვაჩნია დამატებითი ტრენინგების ჩატარება კომპანიების მენეჯმენტისათვის, რათა აღმოვფხვრათ არსებული პრობლემები.

სახელმწიფოს მართვაში იმყოფება ძალიან ბევრი სამედიცინო სფეროს საწარმო, რომლებიც რეალურად არ აწარმოებენ ბიზნესს, ისინი სრულიად არიან დამოკიდებული ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებაზე და მისი დაკარგვის შემთხვევაში ვერ გააგრძელებენ ფუქციონირებას.

ასევე არსებობს ბევრი საწარმო რომელთა ფუნქციონირება დღევანდელი სახით უპერსპექტივოა და მათი ყოფნა სახელმწიფო საკუთრებაში აუცილებლობას არ წარმოადგენს.

ასევე მნიშვნელოვანია სააგენტოს რეგიონული განყოფილებების მეტად ჩართვა კომპანიების მართვის პროცესში. მათ უნდა შეძლონ ინფორმაციის ოპერატიულად მონოდების უზრუნველყოფა, რათა დროულად ვიგებდეთ ამა თუ იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც სახელმწიფო მართვაში არსებულ საწარმოებს ექმნებათ.

ახალი ინფორმაციის შეგროვების ფორმის ამოქმედებამ გამოავლინა ის ძირითადი სისუსტეები, რომლებიც სახელმწიფო მართვაში არსებულ საწარმოებს აქვთ და მოგვცა საშუალება უკეთესად დავგვემოთ პრობლემების აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონისძიებები.

აქტივების ინვენტარიზაციისა და გადაფასების პროცედურა საშუალებას მოგვცემს ზუსტად შევაფასოთ ჩვენს ხელთ არსებული აქტივები, რაც თავის მხრივ გაადვილებს მათი განკარგვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

ფაქტიურად მიმდინარე პერიოდში დეპარტამენტის ძალისხმევა მიმართული იყო საწარმოებიდან სრულყოფილი ფინანსური ინფორმაციის მიღებისაკენ, უმეტეს შემთხვევაში დეპარტამენტს უხდებოდა ცალკეული საწარმოს ფინანსურ მენეჯმენტთან ინდივიდუალურად და რამდენჯერმე ფინანსური უწყისების შევსების სპეციფიკის გავლა და დაშვებული შეცდომების გასწორება. ამდენად, შედეგის დროულად მიღწევის მიზნით, ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ თითოეული საწარმოს მენეჯმენტთან მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა, რათა მომავალში მათ უზრუნველყონ სააგენტოსთვის სრულყოფილი ფინანსური ინფორმაციის მონოდება. ფაქტიურად ეს პერიოდი არის საწყისი ეტაპი იმ დიდი სამუშაო პროცესისა, რასაც საწარმოებსა და სააგენტოს შორის ჯანსაღი პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება წარმოადგენს.



მიზანი: სანარმოთა ქმედით მმართველად ჩამოყალიბება

მიზანის მისაღწევად დასახული ამოცანების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების ანალიზისა და შედეგების შედეგად გამოვლენილი პასუხისმგებელი დეპარტამენტისთვის დასახული ქმედების სტატუსი გამოკვეთილი მიმართულებები, რომლებიც მომდევნო საანგარიშო პერიოდში საჭიროებენ კვლევითი ღონისძიებების გატარებას.

	ქმედებები	აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი ერთეული	სტატუსი
<p>4.1 სანარმოთა აქტივობის შესწავლა, აღრიცხვა და მონაცემთა ერთგვანი მოსაძიებელი შექმნა</p>	სანარმოების შესახებ ინფორმაციის შეგროვების სისტემის ჩამოყალიბება	ანალიტიკური დეპარტამენტი	დასრულებულია
	სანარმოების შესახებ სრულყოფილი, დეტალური ინფორმაციის მოძიება	ანალიტიკური დეპარტამენტი;	მიმდინარე
	სახელმწიფო სანარმოთა ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნა.	ანალიტიკური დეპარტამენტი	მიმდინარე
	მიღებული ინფორმაციის ერთ ბაზაში განთავსება	ანალიტიკური დეპარტამენტი	მიმდინარე
<p>4.2 კოორდინაციის გაუმჯობესება სრულყოფილი სანარმოების კონტროლის მექანიზმების</p>	სანარმოთა მხრიდან სახელმწიფოსადმი ანგარიშვალდებულების სისტემის შექმნა	ანალიტიკური დეპარტამენტი	დასრულებულია
	სანარმოთა მხრიდან სახელმწიფოსადმი ანგარიშვალდებულების სისტემის დანერგვა	ანალიტიკური დეპარტამენტი	მიმდინარე
	სანარმოთა კონტროლის მექანიზმის შემუშავება	ანალიტიკური დეპარტამენტი	დასრულებულია
	სანარმოთა კონტროლის მექანიზმის დანერგვა	ანალიტიკური დეპარტამენტი	მიმდინარე
<p>4.3 აუტომიზაციის პოტენციალის დასრულება</p>	სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული სანარმოთა კლასიფიკაცია ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის, სახელმწიფო წილის და ვალდებულებების	მომსახურების მხარდაჭერის დეპარტამენტის სახელმწიფო სანარმოთა მართვის სამსახური	მიმდინარე
	სანარმოთა რეორგანიზაციის (შერწყმის) შესახებ წინადადებების მომზადება და სანარმოთა დაჯგუფება: რეგიონების, საქმიანობის პროფილის, ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის მიხედვით	მომსახურების მხარდაჭერის დეპარტამენტის სახელმწიფო სანარმოთა მართვის სამსახური	მიმდინარე

	სანარმოთა გავორების პროცესების წარმართვა	მომსახურების მხარდაჭერის დეპარტამენტის სახელმწიფო სანარმოთა მართვის სამსახური	მიმდინარე
	სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული სანარმოების ლიკვიდაცია	მომსახურების მხარდაჭერის დეპარტამენტის სახელმწიფო სანარმოთა მართვის სამსახური	მიმდინარე
	სანარმოთა შესახებ მიღებული დეტალური ინფორმაციის საფუძველზე მათი დაპაკეტება	ანალიტიკური დეპარტამენტი	მიმდინარე
	სანარმოების ოპტიმიზაცია-მინიმიზაციის პრიცესის გეგმის შემუშავება	სახელმწიფო სანარმოთა მართვის სამსახური	დასრულებულია
	სანარმოების ოპტიმიზაცია-მინიმიზაციის პრიცესის გეგმის განხორციელების მონიტორინგი.	სახელმწიფო სანარმოთა მართვის სამსახური;	მიმდინარე
4.4 სტრატეგიული მიდგომების გატარება და სანარმოთა კერძო სექტორში გადატანის ხელშეწყობა	სანარმოების აქტივების კლასიფიკაციის სისტემის შემუშავება/დანერგვა	ანალიტიკური დეპარტამენტი	მიმდინარე
	განსაკარგავად კლასიფიცირებული სანარმოების დაპაკეტება	ანალიტიკური დეპარტამენტი	მიმდინარე
	დაპაკეტებული სანარმოების მიწოდება შესაბამის სამსახურებზე ეფექტური გაყიდვის მიზნით	ანალიტიკური დეპარტამენტი	მიმდინარე

მიზანი: გამჭირვალობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ამოცანები: გამჭირვალებობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის დანერგვის ხელშეწყობა; ელექტრონული მმართველობის ხელშეწყობა და სერვისების ელექტრონიზაცია

2014 წლის მარტიდან ამოქმედდა სააგენტოს ვებ-გვერდი

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდი საჯარო და ხელმისაწვდომი გახდა ინტერნეტის ყველა მომხმარებლისათვის. საიტის ინტერნეტ მისამართია www.nasp.gov.ge, რომლის მეშვეობით ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება ექნება მიიღოს სააგენტოსთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია.


გვერდის განახლებაზე, მის სრულყოფასა და ინფორმაციით შევსებაზე მუდმივად მუშაობს სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

საიტზე განთავსებულია მუდმივად განახლებადი ინფორმაცია განსაკარგავი ობიექტების შესახებ. ე.წ. **ელექტრონული მაღაზია**


აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გასაჯაროების დღიდან დღემდე 1530 მომხმარებელმა საიტი მინახულა 11031-ჯერ. მომხმარებლის 61% პირველად, ხოლო 39% განმეორებით ეწვია საიტს.



■ New Visitor ■ Returning Visitor



www.nasp.gov.ge -ს მომხმარებლის და ვიზიტორის რაოდენობა სტაბილურად იზრდება.



საიტის მომხმარებლის 96.80% საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირები წამოადგენს, თუმცა საიტის ვიზიტორებს შორის საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი პირებიც არიან.

1. Georgia	1,481	<div style="width: 96.80%;"></div> 96.80%
2. Russia	15	0.98%
3. Ukraine	9	0.59%
4. United Kingdom	4	0.26%
5. Kuwait	3	0.20%
6. United States	3	0.20%
7. Azerbaijan	2	0.13%
8. Belgium	2	0.13%
9. Germany	2	0.13%
10. Kazakhstan	2	0.13%

[view full report](#)

გაუმჯობესებული კომუნიკაცია მომხმარებელთან

გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, შეიქმნა ელექტრონული ფოსტა publicinfo@nasp.gov.ge. აღნიშნული ელ. ფოსტა მითითებული იქნა სააგენტოს ვებ-გვერდზე, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, კორესპონდენციის მართვის სამსახურის უფროსი ლალი ჭელიძე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემას. აღნიშნულ ელ. ფოსტაზე მიღებული მოთხოვნა გათანაბრებულია ფრანტისა თუ ფოსტის მეშვეობით მიღებულ სხვა მოთხოვნებთან და მას ენიჭება რიგითი ნომერი დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ პროგრამაში.

ამას გარდა, დაინტერესებულ პირებს მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით უკვე შეუძლიათ სააგენტოს მიმართონ მისამართზე info@nasp.gov.ge, აღნიშნულ ელ.ფოსტას ეცნობიან ქოლ ცენტრის ოპერატორები, საჭიროების შემთხვევაში ამონებენ საკითხის სტატუსს შემსრულებლებთან და დაინტერესებულ პირს გასცემენ კვალიფიციურ პასუხს.

დოკუმენტბრუნვა

	სააგენტო	სამეგრ.-გურია-ზემსვანეთის ცენტრი	იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის ცენტრი	სამცხე-ჯავახეთის ცენტრი	კახეთის ცენტრი	შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის ცენტრი	ქვემო ქართლის ცენტრი	ჯამი
შემოს.	8336	606	847	177	518	896	738	1218
გასულ.	6245	1153	1318	390	113	365	1131	117

					1			33
ბრძან.	531	99	70	45	104	103	136	1088
დარქივ და	82		24	22			2	130
საჯარო ინფორმაცია	132	2	11		15	2	4	166

არქივის ელექტრონიზაციის პროექტი

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 25 ნოემბრის N 1-1/336 ბრძანების საფუძველზე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მართვაში გადაეცა სამინისტროს არქივი და პასუხისმგებელია მის დამუშავებასა და ციფრულ ფორმატში გადაყვანაზე. სამინისტროს არქივი მოიცავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 1936 წლიდან იმ ლიკვიდირებული სამინისტროების (სულ: 13 სამინისტრო) საქმიანობის პროცესში წარმოქმნილ დოკუმენტებს, რომელთა სამართალმემკვიდრესაც წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს ეროვნულ არქივს შორის საარქივო მომსახურებაზე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მიზანია ერთიანი, დაზუსტებული ელექტრონული არქივის სისტემის შექმნა, მიმდინარეობს სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოს და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დოკუმენტური არქივის ელექტრონიზაცია და სისტემატიზაცია. პროექტის განხორციელება დაიწყო 2013 წლის ნოემბერში და გაგრძელდება 2015 წლის ბოლომდე.

მიზანი: გამჭირვალობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების ანალიზისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი, პასუხისმგებელი დეპარტამენტისთვის დასახული ქმედების სტატუსი და გამოკვეთილი მიმართულებები, რომლებიც მომდევნო საანგარიშო პერიოდში საჭიროებენ გარკვეული ღონისძიებების გატარებას.

ამოცანა	აქტივობა	აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი ერთეული	სტატუსი
	საჯარო ინფორმაციის განსაზღვრა დეპარტამენტების მიხედვით და მიწოდების უზრუნველყოფა	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;	მიმდინარე
	საჯარო ინფორმაციის გავრცელების სისტემატიზაცია	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	მიმდინარე
	პრივატიზაციის პროცესის გამჭირვალობა(გაყიდული ქონება)	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;	მიმდინარე



<p>მაღალი მაკვირვებლობისა და საგარეო ურთიერთობების სექტორის და სტრატეგიული განვითარების სექტორის ელექტრონული განვითარების სექტორის</p>	<p>პროექტი " სოფლიდან გაუსვლელად " დაგეგმვა . აუქციონების შესახებ ინფორმაციის გავრცელება საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით</p>	<p>სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი</p>	<p>მიმდინარე</p>
	<p>პროექტი "სოფლიდან გაუსვლელად" ფარგლებში ბანერების, ბროშურების, ინსტრუქციების დამზადება.</p>	<p>სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი</p>	<p>დაგეგმილი</p>
	<p>პროექტი " სოფლიდან გაუსვლელად " ფარგლებში ბანერების, ბროშურების განთავსებაზე მონიტორინგი</p>	<p>სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი</p>	<p>დაგეგმილი</p>
	<p>მედიასთან პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბება</p>	<p>მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური</p>	<p>მიმდინარე</p>
<p>5.2 ელექტრონული განვითარების სექტორის და სტრატეგიული განვითარების სექტორის ელექტრონული განვითარების სექტორის</p>	<p>ელექტრონული პროგრამის მეშვეობით ხელმისაწვდომი სერვისების განსაზღვრა.</p>	<p>სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური;</p>	<p>დაგეგმილი</p>
	<p>ელექტრონულ პროგრამაში შესაბამისი სერვისით სარგებლობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება/პიარი</p>	<p>მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;</p>	<p>მიმდინარე</p>
	<p>არქივის ელექტრონიზაცია</p>	<p>კორესპონდენციის მართვის სამსახური</p>	<p>მიმდინარე</p>
	<p>ელექტრონული სერვისები</p>	<p>სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური;</p>	<p>დაგეგმილი</p>